წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. კვირა, 17 მკათათვე 1916 წ. № 158

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი (ერთ სვეტში 45 ასო) 1 გვ. ფეიჯზე პეტიტით 20 კ., ... ბოლო გვერდზე — 10 კ. ... ... **ცალკე განცხადებათა ფასი:** ... ქონი პეტიტი 1 გვ. ღირებულია 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში — 60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით 15×2 ღირს 4 მ.; 20×2 ღირს 8 მ., 25×2 ღირს 7 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში ეღ. 1 მ. მეტი.

დამატებანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. **სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 8 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

„ახალი კლუბის“ მამასახლისთა საგზო

ამით აუწყებს რა აღნიშნულ კლუბის წევრთ, რომ რადგანაც **20 ივნისს** **დანიშნული**

საგანგებო კრება

არ შედგა ნაცვლად

დანიშნულია

ამა თვის 17-ს, დღითი, 12 საათზე.

კლუბის წესდების მე-29 მუხლის მიხედვით კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველია შემდეგი საკითხები: მიმდინარე კითხვები და არჩევნები მუდმივ მოსიარულეთა. (2—178—2)

ახალი კლუბი

ერთი კვირის პროგრამა 18—25 **მკათათვემდე.**

ორშაბათი—სინემატოგრაფი—კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა ალ. გესის ლოტბარობით.

სამშაბათი—სიმფონიური კონცერტი ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით. მონაწილეობს მომღერალი ვლადიმიროვისა—გალკოვიჩი.

ოთხშაბათი—სინემატოგრაფი—კონცერტი—სიმფონიური ორკესტრისა ბ. ალ. გესის ლოტბარობით. მონაწილეობს დ. დ. ლეჟავა.

ხუთშაბათი—ქართული წარმოდგენა—სამხედრო ორკესტრი.

პარასკევი—სინემატოგრაფი, კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა გესის ლოტბარობით.

შაბათი—ბენეფისი ვოლფ-იზრაელისა. კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა ბ. ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით.

კვირა—საბავშვო საღამო—სინემატოგრაფი. სამხედრო ორკესტრი.

დასაწყისი: კონცერტებისა საღ. 9 საათზე.
„ სპექტაკლისა $8^1/_2$ საათზე.
„ სინემატოგრაფისა $8^1/_2$ საათზე.

კლუბში შესასვლელი ფასები ჩვეულებრივია. სამშაბათს და შაბათს შესასვლელი ფასი მამაკაცისა 1—05 კაპ., მანდილოსნებისა და სტუდენტებისა—65 კაპ. (1—183—1)

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(ქიხელის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)

კვირას, 17 მკათათვეს,

ივ. სარაჯიშვილის, ა. ვლადიმეროვის და მცირეწლოვანი **ლ. ბელიცკის** მონაწილეობით გაიმართება **კონცერტი** ორ განყოფილებად

როიალთან **ო. რავენსკაია.**

წარმოდგენაზე შესვლა უფასოა. სტუმრები საზოგადო წესით.

(1—182—1) **დასაწყისი საღამოს 9 საათზე**

კვირას, 17 მკათათვეს დილის 11 ს. **ნიკოლოზის ეკ. სკოლაში დანიშნულია**

თბ. ქ. მუშათა მომღერალ-მგალობელთა გუნდის

(დაარსებული **მ. კავსაძის** ლოტბარობით 1912 წ.)

საგანგებო კრება

გადასაწყვეტია გუნდის ქონებათა განაწილების საკითხი.

რადგან ეს მესამე კრება არის, ამიტომ საკითხს გადასწყვეტს რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

(1-266-1) მუშათა გუნდის **გამგეობა.**

კვირას 17 მკათათვეს, დილის 10 საათზე

საგურთალოს სახ. სახ. არს. წრის გამგეობა იწვევს ჩვეულებრივ **საზოგადო კრებას**

განსახილველი საგნები: 1) საგანგებო კომისიის მოხსენება, 2) ძველი გამგეობის ორი წევრის მოხსენება, 3) გამგეობის და კანდიდატების დამატებითი არჩევნები.

(1-262-1) **წრის გამგეობა.**

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე	**ჩაი**
სადილები	**ყავა**
	ხაჭაპური
ვახშმები	**პიროშკები**

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხილ. ს. გიგიბერია.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 **საათ.** მისამართი: **კუთხე** კიროჩნი **და** დიდი მთავრის ქუჩისა, **სახლი** სვანიშვილისა; **შესავალი** დიდი **მთავრის** ქუჩიდან **№ 67** ოფიცერთა **ეკონომიური** საზოგადოების **შენობის** პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის **ვენერიულ** კლინიკის **ორდინატორად** ნამყოფი **იღებს** ავადმყოფებს **კანისა** და **ვენერიულის** სნეულებით **ყოველ** დღე 3—5 **საათამდე,** ვარანცოვის **ძეგლის** პირდაპირ, **რაზიეზდის** ქუჩა, **№ 19.**

დ. ზესტაფონში

ექიმი

დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა **გადმოვიდა** თბილისში **და** იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: **გულისა,** ფილტვებისა **და** სისხლის **სნეულებიანს** სპეციალურად, **საღამოს 5—7** საათამდე, **მიხეილის ქ. № 36,** მეორე სართული.

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, **კვირა-დღის** გარდა **საღამოს 5—7** საათამდე, **ბელინსკის ქ. № 4.** (თ.—202—9)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის შე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. **კადეტთა** კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს **თიბათვის 15-დან**

იღებს მანგლისში

კორპუსის ბანაკში

გოლოვინის პრ. **და სამხედრო** ქუჩის **კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის **პირდაპირ** გაიხსნა

ახალი აფთიაქი

—პროვიზორის ახვლედიანისა—

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

ა. დ. შაჰაბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის **საუნივერსიტეტო** კლინიკისა, **ყოველდღე ღებულობს ქალთა** და **საშარდე** სნეულებათა **ავადმყოფებს.** საღ. 5—7 ს. ვერის **დალმ., № 1.** სახ. **მელიქ-აზარიანცისა,** ტელ. 1—96.

თბილისი, 17 მკათათვე

ფინანსიური მიმოხილვა

როგორც სჩანს დღევანდელი ომი მემკვიდ-ოერობითი ცოდვად გა-... დაიქცევა რამოდენიმე თაობისთვის. თანამედროვე თაობა ამ ცოდვას თავისი საკუთარი სისხლით ისყიდის, მომავალმა ის თავისი დოვლათით უნდა გამოისყიდოს. დიდი ხანი გაივლის სანამ კაცობრიობის წიაღში წაიშლებოდეს მისი გავლენა. მის მიერ გამოწვეული ეკონომიური სიდუხჭირე მძიმე ტვირთად დააწვება ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს, რომელთაც შეიძლება არაფერი იცოდნენ არც ჩვენი რასიული სიძულვილისა, არც ჩვენი სამხედრო აღტყინებისა. ცხადია რომ ჩვენ დიდს პასუხისგებლობას ვკისრულობთ მემკვიდრეების წინაშე. ეს განსაკუთრებით იმ უზარმაზარ, უმაგალითო ხარჯებზე ითქმის, რომელსაც მსოფლიო ომი იწვევს. რამოდენიმე საუკუნის თუ არა, რამოდენიმე ათეული წლის ენერგია და შემოქმედებაა საჭირო მათ ასანაზღაურებლად.

საკმაოა გავიხსენოთ თუ რავდენად იმატა მებრძოლ სახელმწიფოების ვალმა ორიოდე წლის განმავლობაში. ეკონომისტების გამოანგარიშებით ინგლისის სამხედრო ვალი დღეს უკვე 24 მილიარდ მანეთს უდრის. თუ ომი ამ წლის ბოლომდე გაგრძელდა, ეს თანხა დაახლოებით 35 მილიარდამდე ავა. თუმცა ინგლისის სახელმწიფო ვალი ჩვეულებრივ იაფ-ფასიანია (3%), მაგრამ მარტო მისი სარგებლის გასტუმრებას წელიწადში 1 მილიარდი მოუნდება ე. ი. სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევარი. კიდევ უფრო ნაკლებ სახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება დანარჩენ სახელმწიფოების ფინანსიური მდგომარეობა: მათი სესხი უფრო ძვირია (4—$5^1/_2$%), მათი შემოსავლის წყაროები უფრო განსაზღვრული. საფრანგეთის ვალი მიმდინარე წლის დასასრულს დაახლოებით 35 მილიარდი მანეთი იქნება და სარგებლის სახით თითქმის 1 მილიარდს და 400 მილიონს მოითხოვს: ეს კი თითქმის საფრანგეთის ჩვეულებრივი ბიუჯეტის სამ მეოთხედს შეადგენს. რუსეთისა და გერმანიის ბიუჯეტის ნახევარიც მარტო ვალის ნამთავნის გასტუმრებას მოუნდება.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. საგარეო ან შინაგანი სესხის გარდა თვითეულმა სახელმწიფომ არა-ჩვეულებრივად გაამრავლა ქაღალდის ფულის რაოდენობა, რაიცა არსებითად იმავე ვალის აღებას უდრის. მაგალითად: ომის დაწყებამდე რუსეთში 1 მილიარდი 600 მილიონი მანეთის ქაღალდის ფული ტრიალებდა; დღეს უკვე $6^1/_2$ მილიარდი ტრიალებს და მოსალოდნელია, ... ვალში კიდევ ორი მილიარდის საკრედიტო ბილეთი მიემატოს. ნორმალური მდგომარეობის აღსადგენად სახელმწიფომ ომის შემდეგ აუცილებლად უნდა გამოისყიდოს ქაღალდის ფულის უდიდესი ნაწილი. ეს ოპერაცია კი მისგან არაჩვეულებრივ ფინანსიურ საშუალებებს მოითხოვს. ამის გარდა, სახელმწიფოს სხვა არაჩვეულებრივი ხარჯებიც დააწვება კისერზე: მაგალითად მარტო პენსიებისთვის რუსეთს თითქმის ნახევარი მილიარდი მანეთი დასჭირდება წლიურად.

პესიმისტები ამბობენ, რომ სახელმწიფოს ერთად ერთი რადიკალური საშუალება აქვს ამ უმაგალითო ვალდებულებათა გასაძღოლად: სახელდობ გაკოტრების გამოცხადება. ეს საშუალება მართლაც ყველაზე მარტივი და რადიკალურია, მაგრამ დიდი სახელმწიფო, რომელიც მომავალზე ჰფიქრობს მას ვერ მიმართავს. წინაღმდეგ შემთხვევაში მის ფინანსიურ კრედიტთან ერთად დასამარდება მისი ზნეობრივი ავლადიდებაც. ამიტომ არის, რომ როგორც ფინანსთა სამინისტრო ისე ოფიციალი ეკონომისტები ამ თავითვე შეუდგნენ ისეთი სახსარის ძიებას, რომელიც თუმცა ნაკლებ მარტივია, მაგრამ უფრო შეფარდებულია სახელმწიფოს ღირსებასთან. ერთი ასეთი საშუალება შემოსავლის მიხედვით გადასახადის შემოღებაა. როგორც მკითხველმა უწყის სახელმწიფო სათათბირომ უკვე მიიღო ამ ახალი გადასახადის კანონპროექტი. მაგრამ სამწუხაროდ რუსეთი ღარიბი ქვეყანაა. დიდ შემოსავლიან მესაკუთრეთა რიცხვი აქ ნაკლებია და ძლერ საეჭვოა, რომ ამ გადასახადმა საკრძნობლად შეამსუბუქოს დავალიანებული ბიუჯეტის მდგომარეობა. იგივე ითქმის ახალი არა პირდაპირი გადასახადების შესახებ. სახელმწიფომ დროებით, საცდელად გაადიდა სარკინიგზო და საფოსტო ტარიფი, მაგრამ ამ ცდას შემოსავლის ზრდის მაგიერ შემცირება მოჰყვა. რადგან რუსეთში წარმოება და აღებ მიცემობა ნაკლებ განვითარებულია, ადამიანს გაჭირვების დროს შეუძლიან ნაკლებ იმოგზაუროს და ნაკლები წერილები აგზავნოს, ამიტომ, როგორც ხმები დადის, მთავრობა აპირობს ძველა ტარიფი აღადგინოს ფოსტაში და რკინის გზაზე.

ამგვარად ბოლოს ერთად ერთი მნიშვნელოვანი ყარო ღა რჩება სახელმწიფო ბიუჯეტის ნორმალურ პირობებში ჩასაყენებლად: სახელდობ მონოპოლის შემოღება. არაყის მონოპოლი ძველი ბიუჯეტის უმთავრესი ბურჯი იყო რუსეთში. ღღეს მას დამცველები აღარ ჰყავს. მაგრამ სამაგიეროდ უმაღლეს სფეროებში და ეკონომისტთა წრეებში გულ-დასმით არჩევენ შაქრის, ნავთის, ჩაის და სხვა მასიური პროდუქტების მონოპოლიის საკითხს, მოსალოდნელია, რომ ადრე თუ გვიან, ეს წინასწარი ბჭობა დამთავრდება და ომის შემდეგ მომხმარებელი იძულებული გახდება „მონოპოლკა“-ში ეძიოს თავისი უმთავრესი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი პროდუქტები.

სტოკჰოლმი და ლოზანნა

როგორც საყოველთაოდ ცნობილია რუსული კონსერვატიული გაზეთი „ნოვოე ვრემია“ განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა რუსეთის იმპერიის პატარა ერებს და თავის ფურცლებზე გულმოდგინეთ ათავსებს ყოველგვარ ცნობას, რომელიც ამ პატარა ერების მდგომარეობას შეეხება. მხოლოდ საგალალოდ ეს ცნობები ყოველთვის ერთგვარი წინასწარი ტენდენციის მიხედვითაა შერჩეული და გაშუქებული. ამიტომ „ნოვოე ვრემიას“ ინფორმაცია უმეტეს შემთხვევაში ან სინამდვილის კარიკატურას იძლევა, ან კიდევ სრულიად შეუსაბამო სურათს. მაგალითად ამ ერთი კვირის წინად ამ გაზეთის მეთაური წითელ და ლურჯბილეთიანების გაწვევის გამო შემდეგსა სწერდა: „ომის მეორე წელიწადი თავდება და ეხლა ინოროდცებსაც მოუხმეს სახელმწიფო დაცვის საქმისთვის. მართალია რუსის ხალხთან ... რატესობას ინარჩუნებენ: მათი მუშაობა მომქმედი ჯარის ზურგს უკან იწარმოებს და არა მოწინავე პოზიციებზე მოწინააღმდეგის პირის პირ... ასეთ სხვა და სხვაობას ამართლებს ძველი მოსაზრება, რომელიც წინად საფუძვლად დაედო ინოროდცების განთავისუფლებას სამხედრო ბეგრისაგან: მათი უნიჭობა სალაშქრო სამსახურში. დღევანდელმა უმაგალითო ომმა უკვე სერიოზული შესწორება შეიტანა ამ ფორმულაში: ვინც რაზმში გამოუსადეგარია, რაზმს უკან უნდა იმსახუროს“. (იხ. „ნოვ. ვრ“. № 14489.)

ოფიციალური ტერმინოლოგიის მიხედვით ინოროდცებად ითვლება ყოველი არა რუსი, რომელიც რუსეთის იმპერიის საზღვრებში ბინადრობს: ქართველი, სომეხი, თათარი, ლატიში, ესტონელი, პოლონელი, ფინლანდიელი, გერმანელი, ებრაელი და სხვა და სხვა. „ნოვოე ვრემიას“ მიხედვით გამოდის რომ ყველა ესენი იმ ბედნიერ ნახევარ იდიოტთა რიცხვში შედიან, რომელნიც დღემდე თავისუფალნი ყოფილან უმძიმესი სახელმწიფო ვალდებულობისაგან, მიტომ რომ უნიჭობის გამო არ შესძლებიათ რუსი სალდათის „მეცნიერების“ შეთვისება. სინამდვილეში კი უნიჭოთა რიცხვი რუსეთში ნაკლებია ვიდრე „ნოვოე ვრემიას“ ჰგონია და ყოველშემთხვევაში მათი ძებნა სულ სხვა ალაგას არის საჭირო. სახელმწიფო თავდაცვის საქმეში ინოროდცები არა ნაკლებ თავგამოდებასა და უანგარობას იჩენენ ვიდრე ნამდვილი რუსები. ეს იმდენად საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა რომ სიტყვის გაგრძელება ზედმეტად მიგვაჩნია. ცნობილია ისიც რომ დღემდე რუსეთში სამხედრო ბეგრისაგან თავისუფალნი იყვნენ არა ინოროდცები საზოგადოთ, არამედ მხოლოდ ზოგიერთი რელიგიური სექტები, მაჰმადიანები, მთიელები და ნახევრად ველური მოხეტიალე ხალხები, მათი საერთო რიცხვი ძლივს აღწევდა ათ მილიონს და მათი განთავისუფლება უმეტეს შემთხვევაში რელიგიური და პოლიტიკური მოსაზრებით ხდებოდა. ეს ყველაფერი ალბად კარგად იცის „ნოვოე ვრემიამაც“. მაგრამ თუ ეს გაზეთი თაღლითობს და საქმის ნამდვილ ვითარებას ამახინჯებს ეს ალბად მისთვის რომ ინო�ოდცებს სახელი გაუტეხოს და „თვითმპყრობელ ერს“ დაასმინოს.

ამგვარი ხასიათის და ღირსების ცნობებს „ნოვოე ვრემია“ ხშირად აწვდის თავის მკითხველებს. ამ ორიოდე თვის წინად ეს გაზეთი გვარწმუნებდა რომ შვეიცის დედა ქალაქ სტოკჰოლმში თავი მოიყარეს რუსეთის იმპერიის ჩაგრულ ერთა წარმომადგენლებმა და ვრცელი დეპეშის შემწეობით მფარველობა და შუამავლობა სთხოვეს შეერთებული შტატების პრეზიდენტ ვილსონსო. გაზეთი დასძენდა რომ ამ ახირებული შუამდგომლობის ქვეშ ყველა ერის წარმომადგენელს ეწერა ხელი მალოროსებიდან დაწყებული ოსტზეელ გერმანელებამდე, მხოლოდ სომხები და ბესარაბიელი მოლდაველები აკლდნენ მათდა სასახელოდო. როგორც სჩანს სტოკჰოლმელ დეპეშას სათანადო გავლენა ვერ მოუხდენია გულგრილ და აუშფოთებელ იანკის გულზე. ამიტომ თუ „ნოვოე ვრემია“-ს უკანასკნელ ცნობას დაუჯერებთ, რუსეთის ჩაგრულ ერთა მისტიურ წარმომადგენლებს ერთხელ კიდევ უცდიათ ბედი. უკანასკნელად ისინი უკვე ლურჯი ლემანის ტბის პირად შეკრებილან, მშვენიერ ქალაქს ლოზანაში და მძაფრი გერმანოფილური რეზოლიუციები მიუღიათ. გერმანელ ერს სიამოვნებით ყურად უღია ეს რეზოლიუციები. ის განსაკუთრებით ქართველი წარმომადგენლების ყოფაქცევას უსიამოვნებია, მიტომ რომ „ნოვოე ვრემია“-ს ცნობით მთელი გერმანელი ერი დიდ იმედებს ამყარებს ქართველობაზე.

შეიძლება ჩვენს მკითხველზე ზემოთ ნათქვამმა საოხუნჯო ფილეტონის შთაბეჭდილება მოახდინოს. ასეთი შთაბეჭდილება საერთოდ გარემოების შესაფერი იქნებოდა ერთი პირობით. ადვილი შესაძლებელია რომ „ნოვოე ვრემია“-ს ცნობები სავსებით ფანტაზიის ნაყოფი არ იყოს, რომ ძათ საფუძვლად მართლაც ედოს ... ...

რუსეთის საზოგადოება და კავკასიის ეროვნა

მკითხველს კარგად ახსოვს ის განგაში, რომელიც ასტყდა რუსული ბეჭდვითი სიტყვის გამოცემებში თბილისის საერობო თათბირის დადგენილებათა გამო.

ქართველთა და თათართა შეთანხმებული თავისდაცვა სომეხთა მიერ ოსტატურად შედგენილ საერობო გეგმისაგან, რომლის განხორციელებას უნდა დაეკანონებინა სომეხთა პირველობა საქართველოში და მთელ ამიერკავკასიაში, სრულიადაც არ ეჭაშნიკა რუსეთის პოლიტიკოსებს.

მათ ხომ ყოველთვის არწმუნებდენ ჩვენი „მეგობარი—მეზობლები“, რომ მრავალტომიან კავკასიაში ერთადერთ განათლებულ, მდიდარ, მრავალრიცხოვან და ამიტომაც გავლენიან და თაოსან ეროვნებას შეადგენს სომხობა, თორემ ქართველები და თათრები საწყალი ხალხია, სადღაც „მთებში“ შეხიზნულიო...

ამიტომ რუსული პრესა თითქმის ერთხმად მთელი თვის განმავლობაში მეხს აყრიდა საქართველოს...

ახლა გათავბრუებული რუსი პოლიტიკოსები უკვე გონს მოდიან.

„ნოვოე ვრემიას“ პირველად მოგონებია ბრძნული ანდაზა—„მთა მთას ვერ შეხვდება და კაცი კაცს კი“... თუ წინად იგი ისეთ დარიგებებს უკითხავდა ქართველთ და თათართ, რომ „არმიანსკი ვესტნიკი“ აღტაცებაში მოდიოდა, ახლა „ნოვოე ვრემიამ“ ორიენტაცია შეიცვალა და ორი დიდი წერილი მოათავსა ვინმე „ძველი კავკასიელისა“, რომელშიაც სავსებით დასურათხატებულია სომეხთა ოინბაზობა საერობო თათბირის ვითარებაში და მოხსენებულია საბუთები ქართული თვალსაზრისისა.

უმცირესობას—„სომხებს, ამბობს „ნოვოე ვრემია“, სწადდათ გამოყოფა საერთო ერობიდან სომხურ ქალაქთა და მაზრათა ერთეულების, რათა მათი ყოველნაირი შეკავშირებით შექმნილიყო განცალკევებული სომხური ერობა.

უმრავლესობას (ქართველთ, თათართა და რუსებსაც) არ უნდოდათ პირში ჩალის გამოვლება და კიდეც დაიცვეს თავი ერთად ერთი ფარით, რომელიც ხელთქვეშ იყო—1890 წლის საერო-ბო კანონით; მხოლოდ აქა-ოდეს ოხერხდა სომეხთა ჭახრაკული გეგმის ჩაშლა.

თუ ერობა ნიშნავს დეცენტრალიზტურად არჩეულ ადმინისტრაციას მაშინ ეროვნული ერობა ხომ უკვე ავტონომია არისო.

შესაძლოა სწორედ ეს იყოს საჭირო, რაიც მოითხოვს კავკასიის გაყოფას ქართულ, სომხურ და თათრულ ნაწილებად, მაგრამ მაშინ ამისკენ უნდა მივდიოდეთ შეგნებულად და არა თვალახვეულობით“...

ოღონდაც რომ ასეა: თუ ერობა მხოლოდ სახელია და სახრავი კი სომხური ავტონომიის შექმნაა ქართველთა და თათართა მიწაწყალზე—მაშინ სრული გონიერებით მოიქცა საერობო თათბირი:

ქართველები არ საჭიროობენ ავტონომიისათვის საერობო ხრიკებს და მათ მოეპოვებათ უფრო ძველი და სანდო დებულებანი ვიდრე 1890 წლის საერობო კანონი.

ახალი.

პოლონეთის ავტონომია

სრული ერთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გორემიკინმა სახელმწიფო სათათბიროს საზაფხულო სესსიის გახსნისას დეპუტატებს დეკლარაციით მიჰმართა. ამ დეკლარაციაში მან სხვათა შორის ამცნო სათათბიროს, რომ მინისტრთა საბჭოს მინდობილი აქვს მოკლე ხანში პოლონეთის ავტონომიის კანონ-პროექტი შეიმუშაოს და სათათბიროს განსახილველად წარუდგინოს. მას შემდეგ აგერ სრულმა წელიწადმა განვლო, სათათბირო დაითხოვეს, მაგრამ პოლონეთის ავტონომიის კანონ-პროექტი აქამდის ერთს წერტილზე იყო შეჩერებული. სათათბირო მის განხილვას ვერ ეღირსა.

ამ ხანში ბრძოლის ველზე მდგომარეობა შეიცვალა. გერმანელების წინსვლა და ახალ-ახალ ტერიტორიის დაპყრობა პოლონეთში შეჩერდა. რუსეთის ბიუროკრატიამ, რომელიც შარშან ბრძოლის ველზე მომხდარმა ამბებმა აიძულა ხმა მაღლა გამოეთქვა თავისი სოლიდარობა და სრული თანხმობა რუსეთის მხედრობის მთავარსარდლის მანიფესტისადმი, უკან დაიხია. მანიფესტში აღთქმული პოლონეთის თავისუფალ ეკონომიურ და კულტურულ თვითგამორკვევის და პოლიტიკურ დამოუკიდებლობის აღსრულება რუსეთის ბიუროკრატიამ დაასამარა. დღეს მან იგრძნო, რომ შესაძლებელია მომავალში პოლონეთის ბედიღბლის სრული მფლობელი ისევ იგი შეიქმნეს და ამ წინასწარ გრძნობით გატაცებული პალიატივებით სცდილობს შესცვალოს დაირებული.

მეფის სამხედრო ბანაკში შეკრებილმა მინისტრთა საბჭომ განსახილველ საკითხთა სიაში პოლონეთის ავტონომიის საკითხიც შეიტანა. საბჭოს უნდა განეხილა და გადაეწყვიტა პოლონეთის მომავალი თვითმართველობის ხასიათი. ე. ი. პოლონეთის და რუსეთის მომავალ პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დამოკიდებულებისათვის გარკვეული სახე მიეცა. სამხედრო ბანაკში გამართულ თათბირზე მინისტრთა საბჭომ პოლონეთის საკითხში ერთსულოვნება ვერ გამოიჩინა, რადგან უმცირესობა ვერ შეუერთდა უმრავლესობის ანტი-სახელმწიფოებრივ ნაბიჯს და იძულებული გახდა მმართველობის საქმე მიეტოვებინა.

შ. ტატიშვილი.

ქართველ ებრაელთა შორის

ამ ბოლო დროს საქართველოში თავი წამოყო ებრაელთა საკითხმა, არა ქრიატიან ქართველებსა და ქართველებსა და ქართველ ებრაელთ შორის, არამედ თვით ქართველ ებრაელებს შორის. ერთნი ამტკიცებენ, მაგონის რაბინი ბაბოვი, ქართველი ებრაელი ქართველებისაგან სარწმუნოებით და ეროვნებით განსხვავდებიან—იმათთვის „ქართველი ებრაელობა იმისთანა ებრაელებია როგორც არიან რუსეთ-ამერიკისა და თვით პალესტინისა. არაფერი იოტის ოდენა განსხვავება ჩვენში არ არსებობს **ეროვნულად** და სარწმუნოებრივადაც“. ამ მოსაზრებით ესენი საჭიროდ სცნობენ და ილვწვიან იმისთვის რომ განამტკიცონ ეს ეროვნული სხვაობა და ეროვნულად ორგანიულად შეუსისხლხორცდნენ რუსეთის, ამერიკის და სხვა ქვეყნების ებრაელებს და ამავე დროს სავსებით განიზიარონ ქართველებთან ერთად მათი კულტურა და ავ-კარგი.

მეორენ, ბ.ბ. **ი. ხ—შვილი, მ. ხანაშვილი, „არა-ებრაელი“**, რასაკვირველია, აღიარებენ ებრაელთა სარწმუნოებრივ თავისებურობას მაგრამ ეროვნულად არავითარ განსხვავებას, პირიქით სრულს იდანტიურობას ხედავენ ქართველ ისრაელებს და ქრისტიან ქართველებს შორის. ფრიად საყურადღებოა ამ მხრივ ბ. მ. ხანაშვილის წერილი, რომელიც დაბეჭდილია „სახალხო ფურცელის“ 625 ნომერში. ამ წერილიდან მოგვყავს ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილები:

„სამშობლო ჩვენი საქართველოა. მართალია მოსულები ვართ იერუსალიმიდან, მაგრამ თვით ჩვენი მოძმე ქართველი ქრისტიანები კი არ არიან მოსული საქართველოში?

სადაც ახალ ალპიის მთები დგანან, იქ მოსული არიან ისინი (მთები) 100 ვერსის მანძილიდან, და რა გასაკვირველია, რომ ხალხი მოძრაობდეს და მოგზაურობდეს. მხოლოდ საქმე იმაშია,—თუ რამდენი ხანია, რაც ჩვენ საქართველოს მკვიდრებად და ბურჯებად ვითვლებით. მცხეთაში აღმოაჩინეს ქვა, რომელიც ედვა ისრაელ ქართველის საფლავს და რომელიც ეუთვნის მე-VI საუკუნეს ქრისტეს წინათ; ასე რომ, 2500 წლის წინად ჩვენები სცხოვრებდნენ საქართველოში. ჩვენ ვიცით, რომ ისრაელთა წელთ-აღრიცხვით 6000 წელიწადია რაც ღმერთმა დედამიწა გააჩინა; ამ 6000 წელში, თითქმის 3000 წელიწადს ჩვენ აქ ვცხოვრობთ, მაშ გვაქვს უფლება ვუწოდოთ საქართველოს ჩვენი სამშობლო, თუ არა?

დედა-ენა ჩვენი ქართულია. ამას დიდი მტკიცება არ უნდა, მაგრამ მაინც მოვაგონებთ, რომ წმ. ნინოს ცხოვრება ქართველ ისრაელების:—მღვდელ-მთავარ აბიათარ და მისი ქალიშვილი სიდონიას მიერ მე-IV საუკუნეში ქართულად არის დაწერილი. ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი, რომლებიც I საუკუნეში მიწვეული იყვნენ საქართველოდან ქრისტეს სწავლის გასარჩევად, ქართულად სწერდნენ წერილებს იერუსალიმში „ჩვენ ქართველი ჰურიანი“ ო და სხ.

ზნე-ჩვეულება და ხასიათი, დაგვეთანხმეთ, რომ ჩვენ უფრო **ქართული** გვაქვს, ვიდრე რუს-ამერიკის ებრაელების.

კულტურულად, სოციალურად, პოლიტიკურად და ეკონომიურად ვენათესავებით რომელს უფრო, **ქართველობას,** როგორც ეროვნებას, თუ რუს-ამერიკის ებრაელობას?

გრძნობა, ფიქრი, რწმენა, მისწრაფება გვაქვს ერთი **ქართველებუან,** თუ უფრო რუს-ამერიკის ებრაელობასთან?

ჩვენი ისტორია, წარსული? მართლაც და ბევრ რამეს საგულისხმიეროს გვეუბნება ქართული ისტორია, და, უპირველეს ყოვლისა იმას, რომ ჩვენი წინაპრების რაბინები და აგრედვე ქართველი ერის მოწინავენი ასე გადაგვარებულად არ სწყვეტდნენ ჩვენს და ჩვენ მოძმე ქართველ ქრისტიანების საკითხს. საკმარისია მოვიგონოთ ბაგრატიონთ დინასტია, რომ სიამაყით ვსთქვათ **„ჩვენ ქართველი ისრაელები ვართ!..“**

ჩვენთვის ყოვლად საკმაოა ზემო აღნიშნული ფაქტების მიხედვით ვაღიაროთ თავი **ქართველად ეროვნებით და ისრაელად სარწმუნოებით“.**

შემდეგ ავტორი იხიბა იბრაელთა ჩამომავლობას და ამბობს რანაირიც გინდა იყოს იგი, მას დღეს არსებით მნიშვნელობა არ აქვს, რადგანაც არა ერთი და ორი ათასი წელიწადია რაც ისრაელები საქართველოში სცხოვრობენ და ამ ხნის განმავლობაში ისინი სხვა ჩამომავლობისაც რომ ყოფილიყვნენ სრულიად გაქართველდებოდნენ და გაქართველდენ კიდეც. დღეს ჩვენ ქართველი ისრაელები რჯულით ებრაელები ვართ, ხოლო ეროვნებით **ქართველებიო.** პატივცემული ავტორი სწერს:

„...მიუხედავად ზემოყვანილ ცნობებისა ჩვენი შთამომავლობის შესახებ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ შთამომავლობა არ შედის ეროვნების აღსნაში, როგორც უმთავრესი ფაქტორი. თუ კი სხვა და სხვა შთამომავლობის ხალხს შეუძლია ერთი სარწმუნოებისა იყოს (მოიგონეთ ხაზარები), რისთვის არ შეიძლება რომ ერთ ეროვნებას ეკუთვნოდეს სხვა და სხვა შთამომავლობის ხალხი, თუ კი, რასაკვირველია, წარსული და უმთავრესი ნიშნები ეროვნებისა აერთებს მათ? დიაღ, შეგიძლიანთ წარსულით იყოთ სხვა შთამომავლობისა, მაგრამ ახლა-კი ქართველი ეროვნულად. ამის დასასაბუთებლადაც მოვიყვანთ შემდეგ ისტორიულ ცნობას: ჯამბაკურები, ორბელიანები, ბარათაშვილები საქართველოში განმტკიცდნენ მეფე ფარნაოზის დროს (მე-III საუკუნეში ქრ. წინ) ამგვარ სთხოვეს ფარნავოზს ქართლოსიანს, რათა მიეცა მათთვის ნება საქართველოში დასახლებისა, რის შემდეგაც ჯამბაკურები და ბარათაშვილები დასახლდნენ 5,000-მდე მეომრით გორისა და თრიალეთის მაზრებში.

თუ ახლა ესენი ითვლებიან წმიდა წყლის ქართველებად, ქართველ-ის რაელთ კი რაღა ცოდვა მიუძღვით სამშობლოს წინაშე? განა მხოლოდ ის, რომ მათ მტკიცედ შეინახეს მოსეს მოძღვრება? განა ისრაელი ქართველებიც ასე თუ ისე თავიდანვე არ უწყობდნენ ხელს საქართველოს კულტურის შექმნას? განა ისინიც, მიუხედავად მათი რჯულისა, არ იყვნენ ჩართული სამშობლოს საერთო ფერხულში და არ შეადგენდნენ მის ორგანიულად განუყრელ ნაწილს?..

ბატონებო, ასიოდე წელია მხოლოდ, რაც საქართველო შეუერთდა რუსეთს, და თუ კი ჩვენი მოწინავე საზოგადოებას ძილს უფრთხობს და მოსვენებას არ აძლევს იმის შიში, რომ შეაძლოა გავრუსდეთ და გადავგვარდეთ ეროვნულად, და ისიც იმ დროს, როდესაც ჩვენს საკუთარ ტერიტორიაზე ვსცხოვრობთ და ჩვენი საკუთარი კულტურით ვსარგებლობთ, განა ქართველი ისრაელები კი აღარ გაქართველდებოდნენ ეროვნულად ამ 2000—3000 წლის განმავლობაში? დიაღ,—რადგან ჩვენ ეროვნულად უკვე ქართველები ვართ, ამისთვის მიუღებელია ჩვენთვის სხვა ეროვნების პარტიის პროგრამა. **ჩვენი იდეალი ხაქართველოა!“**

„ნოვოე ვრემიას“ აზრი საზონოვის გადადგომის გამო

მთავრობის წრეებთან დაახლოვებული „ნოვოე ვრემია“ ყოველთვის კარგად გაგებული საგარეო პოლიტიკის საქმეებში, შემდეგ საყურადღებო დახასიათებას უძღვნის საზონოვის გადადგომას:

— „საზონოვმა სცადა თავისი მოღვაწეობის დასაწყისში კეთილ-მეზობლურ განწყობილების დამყარება გერმანეთთან; ამ ჩინებულ აზრისათვის საზონოვმა ბევრი რამ დაუთმო გერმანეთს სპარსეთში, რეგა მისცა მას დამკვიდრებულიყო მცირე აზიაში, შეპირდა კიდეც რკინის გზა გაეყვანა თეირანიდან ბაღდადის გზამდის (ხანეკენთან).

ყველა ეს მსპხვერპლი ამაო გამოდგა, გერმანეთმა ეს სისუსტის ნიშნად ჩასთვალა, კიდევ უფრო მძაფრად შეესია ბალკანეთსა და მცირე აზიას და ბოლოს ავსტრია-უნგრეთთან ერთად ომიც აგვიტეხა.

აზრი კეთილმეზობლურ განწყობილებისა გერმანეთთან საუცხოვო იყო; მაგრამ განხორციელება ამ გონივრულ საქმისა საზონოვმა ვერ მოახერხა.

ლიკვიდაციამ მის დროს აღძრულ კითხვებისა ახლა ახალს პიროვნებას მიეცდო, რომელიც ნაკლებათ არის შებორკილი დიპლომატიური ადათებით და ამიტომ უფრო მეტი თავისუფლებით შეუძლია დამყარებულ მდგომარეობის დაფასებაო, უსურვოთ საგარეო უწყების ახალ მესვეურს საქმის კეთილი დაბოლოვობა, რაიც შედარებით გაადვილებულია რუსეთის ჯარის საგმირო მოქმედებითო.“

ომის ამბები

გრძოლის ველზე

გენერალ სახაროვის არმიამ ამ ორი კვირის წინედ მდ. ქვემო ლიპის ნაპირების მიდამოებში დაამარცხა ავსტრიელების ჯარი, უკუაქცია იგი და სოფ. გალიჩანე აიღო. ასეთი მარცხით დაამთავრა ავსტრიელების განზრახვა გაერღვიათ რუსეთის ბრძოლის ხაზი იქ, სადაც მდ. ლიპა უერთდება მდ. სტირს და კოლედინის არმიას ზურგიდან მოჭქცეოდა, რომელიც გაცილებით წინ სდგას ამ ადგილიდან და სოფ. სვინიუხა-კისლის ხაზი უჭირავს. მათ ვერც გერმანელების სოფ. არსენოვიჩთან დაწყებულმა იერიშებმა უშველეს. დამარცხებულებმა დასტოვეს ლიპის ბუნებრივი სიმაგრეები და რუსეთის მხედრობას საშუალება მისცეს ბრძოლის ხაზი გაესწორებინათ და კოლედინის არმიისათვის ყოველივე საფუძველი თავიდან აეცილებინა. ამ ადგილობრივ ხასიათის ოპერაციის დროს თვითონ კალედინის არმია გაჩერებული იდგა და ელოდა დაწყებულ ბრძოლის დასრულებას. ამავე დროს არმიას, როგორც ახლა გამოირკვა, ყოველი ნაკლი შეუვსია, ხელახლად დარაზმულა და შეტევაც დაუწყია. როგორც გუშინდელი ოფიციალი დეპეშა გვატყობინებს, გენერალ კალედინის არმიას ისევე, როგორც წინეთ ლუცკის მიდამოებში, გაურღვევია ავსტრო-გერმანელთა ბრძოლის ხაზი და მრავალი არტილერია და ჯარის-კაცი ხელთ უგდია. უეჭველია დღეს თუ ხვალ კოველის ბედიც გადაწყდება. ამ ქალაქის დაკარგვა დიდ გავლენას იქონიებს დასავლეთის ბრძოლის ასპარეზზე.

გარდა ამისა მდინარე სლონეევკის და ბოლდუროვკის მიდამოებში ამ რამდენიმე დღის წინედ დაწყებულ ბრძოლას ფართე ხასიათი მიეღია. რუსეთის ჯარს მეტად საგრძნობლად დაუმარცხებია ავსტრიელები, გადულახავს საზღვარი და ლვოვის მიმართულებით ქალაქი ბროლი აუღია. ასეთი დიდი გამარჯვებით რუსის მხედრობამ, გარდა იმისა, რომ სავსებით გაასწორა ბრძოლის ხაზი მოყოლებული მდ. სტოხოდიდან ტარნოპოლამდის, სრულიად უზრუნველი ჰყო ყოველ გვარ ხიფათისაგან ბუკოვინაში მომქმედი ჯარი, რომელიც უკვე კარპატებში შეიჭრა.

საზოგადოთ გუშინდელი ოფიციალი დეპეშა მეტად ნოკლედ მოგვითხრობს ბრძოლის ველზე მომხდარ ამბავს. არ არის ნაჩვენები ლუცკის მიმართულებით სახელდობრივ, რომელ ალგს გაარღვიეს რუსებმა ბრძოლის ხაზი. ცხადია, ჩვენ ამას სულ მალე გავიგებთ და საშუალებაც გვექნება დავინახოთ მთელი სურათი ბრძოლის ველისა.

დასავლეთის ასპარეზზე ინგლისელების წინააღმდეგ გერმანელები შეტევას განაგრძობენ.

კავკასიის ბრძოლის ველზე მდგომარეობა უცვლელია.

X.

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

პეტროგრადი, 15 მკათათვე, ოფიციალი. კრევოს მიდამოებში ჩვენმა არტილერიამ მტრის მფრინავი ჩამოაგდო; მფრინავი მტრის ბანაკის მახლობლად დაეცა. ბარანოვიჩის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლის შემდეგ ჩვენმა მოწინავე რაზმებმა ზოგ ადგილას წინ წაიწიეს. მდ. სლონეევკისა და ბოლდუროვკის მიდამოებში ჩვენ კვლავინდებურად წინ ვიწევთ.

კავკასიის ასპარეზი. ჩვენი ჯარი კვლავ წინ იწევს. ჩვენმა რაზმმა სივასსის გზატკეცილზე ოსმალთა 31 აფიცერი დაატყვევა.

პეტროგრადი, 15 მკათათვე. ოფიციალი. ლუცკის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მტერს შეუტია, მისი ბრძოლის ხაზი გაარღვია, ჯარი გაანადგურა და წინ იწევს. ჩვენი ცხენოსანი რაზმები მტერს მისდევს. აქ ჩვენ ხელთ ვიგდეთ 46 ზარბაზანი და 6 ტყვიისმფრქეველი. ტყვედ წამოვიყვანეთ 50 აფიცერი (ამათში 2 გენერალი და 2 პოლკის უმფროსია) და 9000 მეტი ჯარისკაცი. მდ. სლონეევკის და ბოლდუროვკის მდელოზე ჩვენმა ჯარმა მტერს ბროდამდია. ბროდში აფეთქების გრიალი ისმოდა, და ცეცხლი მოსჩანდა. დილის 6 საათსა და 30 წ. ქ. ბროდი ჩვენმა ჯარმა აიღო. დავლისა და ტყვეების რიცხვი ჯერ გამორკვეული არ არის.

კავკასიის ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

პარიზი, 14 მკათათვე. ოფიციალი. თითქმის მთელ ასპარეზზე ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლაა. მაასის მარჯვენა ნაპირზე ზარბაზნის სასტიკი სროლაა.

მფრინავთა მოქმედება. დილით მტრის 3 მფრინავმა კრუპიანკა-ლუას ყუმბარები ესროლა. დაიჭრა 3 დედაკაცი და მოკვდა ერთი.

პარიზი, 15 მკათათვე. ოფიციალი. შონის ჩრდილოეთით, ლიგონის მახლობლად ჩვენმა ჯარმა მტრის იერიში მოიგერია. შამპანში, ობერივის მიდამოებში, რუსების რაზმი ხელით სასროლ ყუმბარების შემწეობით მტრის თხრილებს ეკვეთა და ტყვეები წამოიყვანა. მაასის მარჯვენა ნაპირზე ჩვენმ ჯარმა არტილერიის დახმარებით მტრის იერიში მოიგერია. დანარჩენ ასპარეზზე ღამემ მშვიდად ჩაიარა.

მფრინავთა მოქმედება. გუშინ ჩვენ მფრინავთა რაზმს მტერთან შეტაკება მოუხდა. სომმის მიდამოებში მტრის 2 მფრინავი ჩამოვაგდეთ, ბრის მახლობლად—ერთი, სენკრიტას მახლობლად— და ერთიც ორნთან; ვერდენის მიდამოებში 13 მკათათვეს ჩვენმა მფრინავთა რაზმმ შონის მიდამოებში რკინის გზის ლიანდაგს ყუმბარები დაუშინა.

ლონდონი, 14 მკათათვე. ოფიციალი. პოზიერის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ლონგვალის და დელვილსკანის ტყის მიდამოებში ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. პოზიერ-ბეზანტენის ბრძოლის ხაზზე ჩვენ წარსულ ღამეს ავიღეთ მტრის თხრილები, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ. დღეს დილით მტერმა საარტილერიო ბრძოლის შემდეგ ჩვენი თხრილები დაიჭირა და გამაგრდა. ჩვენს მოქმედებას მფრინავთა რაზმები ხელს უწყობდნენ.

ქურნალ-გაზეთებიდან

ბრძოლა რიგასთან.

რიგის მიდამოებში ბრძოლა დღითი დღე მწვავდება. ამ ჟამად იესკიულიდან მოყოლებული ვიდრე ბალტიის ზღვამდე მტერს გაშმაგებული იერიშები მოაქვს რუსების სიძაგრეებზე. მაგრამ მიუხედავად ამისა რუსის ჯარმა წინ წაიწია და გერმანელების პირველ ხაზის თხრილები ხელთ იგდო. მტერი სცდილობს ქალაქ რიგის და რეველის მცხოვრებნი დააშინოს და ამ მიზნით მისი მფრინავთა რაზმები თითქმის მუდამ დღე ქალაქებს აუარებელ ყუმბარებს ესვრიან.

ერზიჯანის აღების მნიშვნელობა.

ერზიჯანის აღებას რუსეთის გაზეთები დიდ მნიშვნელოვან ფაქტად სთვლიან. მათის აზრით ერზიჯანის აღებით სომხეთის დაპყრობა დამთავრდა და რუსეთის მხედრობას ანატოლიაში სივასისკენ გზა გაეხსნა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ოსმალთა მთავარ-სარდლები ყოველ ძალ-ღონეს ხმარობენ ამ ქალაქის დასაცავად.

ავსტრიის შტაბის ცნობა.

ავსტრიის მთავარი შტაბი აღნიშნავს, რომ ტატარინოვის სამხრეთ-დასავლეთით რუსის ჯარი წინ იწევს და კარპატის მთებს უახლოვდება.

სამხედრო მიმომხილველთა ცნობით რუსები ქ. ლვოვიდან 80 ვერსით არიან დაშორებული.

ბრძოლა ინგლისის ასპარეზზე.

გერმანელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ პერრონის მიდამოეში მოკავშირენი როგორმე უკან დასწიოს. ამ მიზნის მისახწევად მათ ინგლისელების წინააღმდეგ გააფთრებული იერიშები განაახლეს. ინგლისელები კონტრ-იერიშებით მტრის შეჩერებას სცდილობენ. ამგვარად მეზიერის და ზილმონტის შუა დიდი ბრძოლა დაიწყო. ამ უკანასკნელ დღეებში სომმის ასპარეზზე გერმანელებს 340,000 მაშველი ჯარი მოუვიდათ.

სალონიკის ასპარეზზე.

სალონიკის ასპარეზზე მოკავშირენი დიდს მზადებაში არიან. ფრანგები არტილერიისა და ჯარის გადმოზიდვას განაგრძობენ. ცხადია მოკავშირენი ამ ასპარეზზე მალე დიდს ბრძოლას დაიწყებენ. ბულგარელებიც თავის მხრივ, მაკედონიის ასპარეზზე დიდ-ძალ ჯარს უყრიან თავს.

გერმანელების ზარალი.

სომმის მიდამოებში ატეხილ ბრძოლებში გერმანელებს დღევანდლამდის 110,000 კაცი დაუკარგავთ. ამ რიცხვში მხოლოდ დაჭრილ-დახოცილები შედიან. რაც შეეხება ტყვედ წაყვანილთ მათი საერთო რიცხვი ჯერ გამორკვეული არ არის.

გერმანეთი წყალ ქვეშა ომის განახლებას აპირებს

გერმანეთის მთავრობამ ამას წინად განაცხადა, რომ თუ ნეიტრალი სახელმწიფონი მოკავშირეებთან საომარ მასალით ვაჭრობას კვლავ განაგრძობენ, გერმანეთი იძულებული იქნება ნეიტრალ სახელმწიფოთა სავაჭრო გემების წინააღმდეგ წყალქვეშა ომი განაახლოს. ამ მუქარამ მეტად შეაშფოთა ნეიტრალი სახელმწიფონი. ჰოლანდიის ვაჭრები სთხოვენ მთავრობას გააფრთხილონ გერმანეთი და განაცხადონ, რომ წყალ-ქვეშა ომის განახლებამ შესაძლებელია გერმანეთის და ჰოლანდიის მეგობრული განწყობილება მოსპოსო.

არეულობა რუმინეთში

რუმინეთში არეულობა დღითი-დღე მატულობს. ხალხი ბუქარესტის ქუჩებში დემონსტრაციებს ჰმართავს და დაბეჯითებით მოითხოვს, რომ რუმინეთი მალე ჩაერიოს ომში. დემონსტრანტები ჯარს დიდ წინააღმდეგობას უწევენ და სცდილობენ როგორმე მეფის სასახლესთან მივ-დნენ, რათა პირადად გადასცენ მეფეს თავისი მოთხოვნილებანი. მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთის ომში ჩარევას დღე-დღეზე ელოდებიან, გერმანეთი თავის საქონლის გადმოზიდვას რუმინეთში განგრძობს. საქონელთან ერთად გერმანეთმა რუმინეთს საომარ მასალით დატვირთული ორი მატარებელი გამოუგზავნა.

გერმანეთი და რუმინეთი.

რუმინეთში მოვიდა გერმანელების მატარებელი, რომელმაც 88 ვაგონი რკინა, ტომრები და ავეჯეულობა მოიტანა. ქ. იასში გერმანელებმა ორი მატარებლით საომარი მასალა მოიტანეს.

სპარსეთში.

ისპაჰანში მყოფ რუსეთის ელჩს მეტად საინტერესო საბუთები ჩავარდნია ხელში. საბუთებში სხვათა შორის არის ბერლინიდან გამოგზავნილი ინ-

სტრუქცია გერმანელ აგენტებისათვის. ქალალდი დაწერილია სპარსულ ენაზე და შეიცავს 30 გვერდს. მასში აღნიშნულია ყველა ის საკითხები, რომლებიც რუსებს, სომხებს და ინდუსებს ეხება. ამას გარდა მოყვანილია სია გერმანეთის მომხრე სპარსელ მოღვაწეებისა, რომელთაც რუსების წინააღმდეგ ამბოხება უნდა მოეხდინათ და ოსმალ-გერმანელთა ჯარების მოქმედებისათვის ხელი შეეწყოთ.

მობილიზაცია ავსტრიაში.

ავსტრიის მთავრობამ გადასწყვიტა, თუ საჭიროება მოითხოვს, ჯარში 56 და 60 წლის მამაკაცნი გაიწვიოს. ეს ხალხი ბრძოლის ველზე არ გაიგზავნება და მხოლოდ ზურგის ჯარს გააძლიერებს.

ზარბაზნების ახალი საზიდი (ტრაქტორი).

შეერთებულ შტატებში გამოუგონიათ ზარბაზნის ახალი ტიპის ტრაქტორი ე. ი. ძირითა ნაწილი ავტომობილისა (თვლები, ღერძები და თვით მამოძრავებელი მანქანა). ამ ტრაქტორების გამოცდამ დაამტკიცა, რომ ომის მიზნისათვის საჭიროა ტრაქტორები შემდეგ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს: რამდენიმე დღის განმავლობაში ტრაქტორმა უნდა ზიდოს 2 მძიმე ზარბაზანი მთელი თავის მოწყობილებით. შემდეგ მან უნდა ზიდოს ერთი მძიმე ზარბაზანი, ყოველი მისი მოწყობილება და მსახურუნი რომელთა საერთო სიმძიმე 465 ფუთს უნდა შეადგენდეს. ამას გარდა მან უნდა შეასრულოს შემდეგი პირობები: დატვირთულმა ტრაქტორმა უნდა გაიაროს მდინარე და გავიდეს მეორე ნაპირზე, რომლის სიმაღლე 40 გრადუსს უნდა შეადგენდეს; ტრაქტორმა უნდა გაიაროს რკინის გზის ხიდი და პირდაპირ ღიანდაგს გაჰყვეს; უნდა ჩაეშვას ტალახით სავსე ხრამში და მეორე მხარეს გავიდეს, ისე რომ ტვირთი არ დააზიანოს. ეს უკანასკნელი პირობა მეტად მძიმე ასასრულებელი აღმოჩნდა, მაგრამ ცდა მაინც ნაყოფიერად დამთავრდა. ამან დაარწმუნა შეერთებულ შტატების მთავრობა, რომ ავტომობილების ტრაქტორების მოხმარება ომის დროს დიდ დახმარებას გაუწევს არტილერიის გადაზიდვის საქმეს და ამისათვის ცხენები სრულებით [illegible]ჭირო აღარ იქნება.

დეკეშები

რუსეთის ასპარეზზე: ქ. ლუცკის დასავლეთით რუსის ჯარმა მტრის ჯარი გაარღვია. მტერი საშინლად დამარცხდა და გარბის. რუსების ცხენოსანთა რაზმები ლტოლვილ მტერს ფეხდაფეხ მისდევენ. აქ რუსის ჯარს ხელში ჩაუვარდა 46 ზარბაზანი და 6 ტყვიისმფრქვეველი. ტყვეთა რიცხვი 9000 უდრის. დილის 6 ს. 30 წ. რუსებმა ქალაქი ბროდი აიღეს.

—

კავკასიის ასპარეზზე: მდგომარეობა უცვლელია.

—

საფრანგეთის ასპარეზზე: შამპანში რუსის რაზმებმა ხელით სასროლ ყუმბარების შემწეობით მტერს თხრილები წაართვეს და ტყვეები წამოიყვანეს.

—

ინგლისის ასპარეზზე: პოზიერის მიდამოებში სასტიკი საარტილერიო ბრძოლაა.

—

პეტროგრადში შეიპყრეს მაღალ წრეებთან დაახლოებული თ-დი ა. ანდრონიკაშვილი. ამ ბოლო დროს თ-დი ანდრონიკაშვილი რედაქტორობდა მემარჯვენე გაზეთს „გოლოს როსიი“-ს.

—

ამ დღეებში თბილისში ჩამოვა სინოდის ობერ-პროკურორი ვოლჟინი. ამბობენ, მას დაკისრებული აქვს რევიზია უყოს ხაეგზარხოსო დაწესებულებებს.

—

საფრანგეთში მყოფ ინგლისის ჯარის ასპარეზზე მკაცრმა ბრძოლამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

—

მთაშავეთის პოლკოვნიკი რადოვიჩი ავსტრიელებმა სერბეთში შეიპყრეს და სარაევოში გაგზავნეს. მას სამართალში მისცემენ ერცჰერცოგ ფერდინანდის მკვლელობაში მონაწილეობის გამო.

—

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: ოსმალეთმა თავისი ჯარი გალიციის მხარეს გაგზავნაო.

—

ერზინჯანის დაპყრობით მთელი სახომალეთი რუსეთის ჯარის ხელში გადადის. ოსმალეთის ჯარი ამის გამო სამს სხვა და სხვა ნაწილად იყოფა—ზღვის ნაპირისად, ერზინჯანისად და ჩრდილოეთისად. მეტად აუტანელ პირობებში ჩავარდა ის ჯარი, რომელიც ხარპუტ-დიარბექირის მიდამოებში მოქმედობს. მთავარი გზები მცირე აზიისა და მესოპოტამიისა ამ უამად განსაცდელში იმყოფებაო.

—

შავს ზღვაზე რუსეთის გემებს „ბრესლაუ“ შეჰხვედრია.

—

შტიურმერი მეფის ბანაკიდან პეტროგრადს დაბრუნდა. საჩქაროდ მინისტრთა საბჭოს საგანგებო კრება მოახდინა. უმთავრესი საგანი კრებისა პოლონეთის საკითხი იყო. როგორც ამბობენ, მეფის ბანაკში პოლონეთის საკითხში შტიურმერის შეხედულობას გაუმარჯვნია. ბოლო კრებებზე ითათბირებენ პოლონეთის ავტონომიის პროექტის შესახებ, რომელიც შტიურმერს შეუდგენია. ამავ კრებაზე განიხილავენ პოლონეთისადმი შედგენილს მიმართვას.

—

დაატუსადეს რუბენშტეინი, რომელსაც საზღვარგარედ ნეიტრალ სახელმწიფოებზე რუსეთიდან საქონელი უზიდნია. მასთან ერთად დაუპატიმრებიათ ავსტრიელი ქალი ბულგანი. **რუბენშტეინს განთავისუფლებისთვის ნახევარ მილიონის თავდებობა წარუდგენია.**

—

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: **ხალხში გავრცელებული აზრი,** ვითომც თ-დ ვედელეს მიერ შემდგარს ეროვნულს ზავის ჩამომგდებს კომიტეტს მიზნად დაესახოს ზავი ჩამოაგდოს სამართლიანობის ფარგლებიო, უსაფუძვლო გამოდგა. ის პროგრამა, რომელიც გერმანელ პრესაში გამოქვეყნდა, ეჰვს ჰბადებს, ვითომც ეს კომიტეტი ფართო ანექსიას ესწრაფვებოდეს. პირიქით, კომიტეტი ზავის ჩამოგდებას შესაძლებლად სცნობს იმ შემთხვევაში, თუ გერმანეთს საზღვარი შესაფერისად გაუფართოვდება აღმოსავლეთით. ამასთანავე კომიტეტი მოითხოვს დიდს სტრატეგიულ გარანტიას დასავლეთით.

—

სახალხო განათლების ს მინისტრომ აცნობა ოლქის მზრუნველთ, **რომ ექსტერნებს მომავალ წელში** ნება მიეცემათ ხელმეორე გამოცდისა.

—

„უტრო როსიაში“ მოყვანილია ვოლფის სააგენტოს მიერ გავრცელებული სიცრუე: „მთლად ყაზახთა თემი ყუბანის ოლქისა აჯანყდა. ყაზახებმა მრავალი რუსი მოხელეები შეიპყრეს და დახოცეს. ზოგმა გაქცევით თავს უშველა. დუქნები დაამსხვრიეს. მთავრობა ამ აჯანყებას სიძვირეს აწერს, მიზეზი კი უფრო ღრმაა. ყაზახებში უკმაყოფილებას ომი, ჯარისკაცთა შეუჩერებელი და უწყალო გაყვანა და რუსეთის რეჟიმი (?!) იწვევს. ამის გამო უკრაინაშიაც დიდი მოძრაობაა **რუსეთის** წინააღმდეგაო!! „უ. რ.“ **დასძენს: რაც** უფრო ღრმად შეიჭრება **რუსეთი** მოპირდაპირის მიწა-წყალში, მით უფრო მოუხშირებს ვოლფის სააგენტო **რუსეთში** აჯანყებაზე წერვასაო.

—

გერმანეთში დაარსებულმა ზავის კომიტეტმა მოწოდებით მიჰმართა ყველა პატრიოტებს, **რათა პროგრამის** გარშემო შემოკრბნენ, **რომლის** შინაარსის განხორციელებაც ავალებს **გერმანელებს** არავითარ **დაბრკოლების** წინაშე **არ შეჩერდნენ** და **უზრუნველ** ჰყონ **იმპერია, მაგრამ ამავე** დროს **უარჰყონ სიხარბე, რომელიც** მავნებელი **შეიქნება** იმპერიისთვისაო.

კომიტეტი მოითხოვს **საჯაროდ** გაარჩიონ **ზავის** საკითხი, **რათა** ამით **საშუალება** მოგვეცეს **უკიდურესობას** შევებრძოლოთო.

—

მაასის მიდამოებში **ფრანგები** და **გერმანელები** ახალ ბრძოლისთვის **ემზადებიან.**

ვერდენთან ინიციატივა **ფრანგების** ხელშია. **ფრანგები** თანდათანობით **წართმეულ** ადგილებს **იბრუნებენ.**

—

ხუთის თვის **განმავლობაში** გერმანელებმა **ფრანგებს 70** ოთხკუთხი ვერსი **წართვეს. აქედან 40 ვერსი** მაასის **მარჯვენა** ნაპირზეა, **ხოლო 30 მარცხენაზე. ეს** მიწა-**წყალი** თითქმის **პირველ კვირასვე** აიღეს. **21 მარტიდან 21 მკათათვემდე** გერმანელებმა **მაასის** მარჯვენა ნაპირზე 2 ათას ადლით წაიწიეს, ხოლო მარცხენით მორტჰომთან გაცილებით ნაკლებით.

ფრანგ-ინგლისელებმა სამს კვირაში ხომაზე აიღეს 45 ოთხკუთხი ვერსი, ხელთ იგდეს 23 ტყვე, 130 ზარბაზანი.

ახალი ამბავი

ობერ პროკურორის ჩამოსვლა. როგორც ჩვენ გაზეთში გვქონდა მოხსენებული უწმ. სინოდის ობერ პროკურორს ბ-ნ ვოლჟინს თბილისში მოელიან. კავკავში შეფერხებისა გამო გუშინ ვერ მოუხდა ჩამოსვლა. თბილისში მიღებულ დეპეშის თანახმად ობერ პროკურორი ხვალ ჩამოვა. ქალაქში ბ-ნი ვოლჟინი 10 დღეს აპირებს დარჩენას.

ლტოლვილთა გაყვანა. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა თბ. გუბერნიის თ-დ აზნ. წინამძღოლის თ-დ კ. ნ. აბხაზის წინაშე, რათა ქარელიდან თ-დ ბაგრატიონ დავითაშვილის მიწებზე დასახლებული სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების მიერ ლტოლვილნი სომეხნი გაყვანილ იქმნენ ამ ადგილიდგან, ვინაიდან ეს ადგილი ქარელის საფეიქრო სკოლისათვის არის საჭიროო.

ქართ. საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის წევრი გ. ციბაძე დეპეშით ატყობინებს მთავარ გამგეობას რომ 15 მკათათვეს ქალაქის თვითმართველობის და სამაზრო ადმინისტრაციის წარმომადგენელთა თანადასწრებით აკურთხეს და გახსნეს თავშესაფარი ომის გამო დაზარალებულთა ბავშვებისათვის.

სათავად-აზნაურო სახელმწიფო ბანკის წევრებად 3 წლის ვადით დამტკიცებულ იქმნენ თ-დი ი. აფაქიძე და თ-დი გ. ჩიჩუა.

თათბირი ზარალის აღდგენის შესახებ. ამ რამდენიმე დღის წინად როცა თბილისის ზოგიერთი მაღაზიები დაარბიეს, 50 ათასი მანეთის ზარალი მოუვიდა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირს. დღეს, 17 მკათათვეს, კავშირის საბჭოს თათბირი ექნება შესახებ იმისა, რომ გამონახოს წყარო ამ ზარალის დასაფარავად.

მიწადმოქმედების მინისტრის რწმუნებული ბ. შაშკოვსკი ბათომის ოლქიდან თბილისს დაბრუნდა.

სასურსათო საქმეების გამო. თბილისის ქალაქის გამგეობამ სასურსათო საქმეების მართველად მოიწვია პოლკოვნიკი კ. ა. ბერიძე.

ქალაქის ფურნეები. ქალაქის თვითმართველობას გადაწყეტილი აქვს გააღოს გაუმჯობესებული ფურნეები. ჯერ-ჯერობით ქალაქი ხსნის ერთ ცენტრალ ფურნეს, რომელიც უკვე მზად არის, მხოლოდ მოსამსახურეებს და მუშებს დაეძებს გამგეობა.

საქალაქო დუქნების წარმოება. 15 მკათათვეს საქალაქო დუქნებს გაუყიდნიათ 13.422 ფუთი შაქარი, ფქვილი და სხვა, დაარსებიდან კი დღემდე სულ 273.808 ფუთი.

ინსტრუქტორი ტორეშელიძე. ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მიერ ახლად დანიშნული ინსტრუქტორი ბ-ნი ტორეშელიძე მიწვეულ იყო ნორიოს მომხმარებელ ამხანაგობაში, ახლა ქვიშხეთს მიემგზავრება.

საჯარო ვაჭრობა. ქალაქის გამგეობამ 19 მკათათვეს საჯარო ვაჭრობა დანიშნა გოლოვინის პროსპექტზე „კრუჟოკის“ შენობის სავაჭრო ბინების იჯარით გაცემის შესახებ.

სცენის გახსნა. ახალსენაკში 24 ივლისს დანიშნულია სცენის კურთხევა. კურთხევაზე მოწვეულია წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად ბ-ნი ვალ. გუნია.

მთავარ რწმუნებული კავკ. საერობო კავშირისა გრაფი ოლსუფიევი ერზერუმს გაემგზავრა.

ახალ კლუბში. დღეს ახალ კლუბის წევრთა საზოგადო კრებაა დანიშნული, მიმდინარე საკითხთა განსახილველად და მუდმივ მოსიარულეთა ასარჩევად.

ახალი პლატფორმა კახეთის რკინის გზაზედ. პარასკევს, 15 მკათათვეს, აკურთხეს ახალი ბაქანი (პლატფორმა) სოფ. ახაშენში და ამ დღიდან აქ გაჩერდებიან ყოველ დღე სახალხო მატარებლები თბილისიდგან თელავში და თელავიდან თბილისში მიმავალი. ბაქანი მდებარეობს გურჯაანის და ვაჩნაძიანის სადგურთა შუა მე-116 ვერსზე და ემსახურება როგორც ახაშენს, ველისციხეს და ზეგაანს, ისე ალაზან გაღმა მდებარე ზოგიერთ სოფლებს.

ვაგონების რიცხვის შემცირება. ქალაქს გამგეობამ გადასწყვიტა, 20 მარიამობისთვიდან შეამციროს ნაშუადღევს მომუშავე ვაგონთა რიცხვი. ეხლა მუშაობს 15 მატორიანი და 5 უმატორო (მიბმული) ვაგონები, გადაწყვეტილია-კი ამუშაონ 10 ვაგონი. გაწესრიგება ამ ვაგონებისა გამგეობამ დაავალა ტრამვაის დირექციას. 14—15 მკათათვეს ელექტრონის ძალის დასაზოგავად უმატორო ვაგონებს აღარ ამუშავებენ ღამით.

წმ. მარინეს დღეობა. დღეს, 17 მკათათვეს, ავლაბრის წმ. მარინეს სახელობის ეკლესია დღესასწაულობს თავის დღეობას.

თავ. მ. ა. სუმბათაშვილის ზარალი. როგორც თითონ თავ. სუმბათაშვილმა გვიამბო, მისი სახლიდან წაუღიათ ქურდებს 2—3 ათასი მანეთის ნივთები. დაჭერილნი არიან მეეზოვე და სახლის დარაჯი.

შემოიტანეს თბილისში 15 მკათათვეს: ფქვილი 5 ვაგონი, ქვანახშირი 9 ვ., რკინეული 373 ფ., კარაქი 24 ფ., ყველი 58 ფ., კიტრი 26 ფ., ხილი 731 ფ., პომიდორი 284 ფუთი.

გადამდები სნეულებანი. გუშინ 16 მკათათვეს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: მუცელათი 3, მენინგიტიანი 2, საოფლიანი 133, ყვავილიანი 3, ხუნაგიანი 4, ქუნთრუშიანი 40 კაცი.

ოსმალთა მიწების მოვლა. მეფის ნაცვლის მოადგილის წარმომადგენელმა უმაღლესს სფერებში ბ-ნ მილიუტინმა დეპეშით აცნობა მეფის ნაცვლის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწეს თ-დ ორლოვს რომ საერთაშორისო თათბირმა გადასდო 700 ათასი მანეთი ოსმალთა ოლქების დაპყრობილ მიწების დასათესად.

ქართველ მოღვაწეთა პანთეონის ასაგებად 15 მკათათვემდე ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ მიიღო 2682 მან. 25 კ.

გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის (№ 11) და მოზრდილთათვის (№ VI).

ხელოვანთა საზოგადოებაში მუდმივ წევრად ჩაეწერა ა. ბ. სარაჯიშვილი და საწევრო ფული 50 მანეთი შეიტანა.

700 ათასი მანეთის გადადება. როგორც მეფის ნაცვლის წარმომადგენელი დეპეშით იუწყება პეტროგრადიდან, მთავრობას გადაუდვია 700 ათასი მანეთი ოსმალეთში დაპყრობილ მინდვრების დასამუშავებლად.

აჭარელთა შვილები ქართულ გიმნაზიაში. ალამბრის მცხოვრები დურსუნ ქათამაძე სთხოვს საქვ. საზოგადოებას თვისი შვილის ელიას ქართულ გიმნაზიაში მიღებას, აგრეთვე ალამბრის სკოლის მოწაფე ჯემალ ნუდაიდელი სთხოვს ამავე საზოგადოებას გიმნაზიაში გზის გაკვლევას.

სომეხთა ცენტრალური კომიტეტი აწყობს ახალ ტრანსპორტს ფქვილის გადასაზიდათ ღამშეულ ოლქებში მუშისა და ხნისში.

სავალდებულო აცრა. მეფის ნაცვლის საბჭომ სავალდებულო აცრის საკითხი გადასცა სამკურნალო გამგეობას განსახილველად, ხოლო თვით სავალდებულო აცრის შემოღება ჯერ ნაადრეულად დაინახა.

მერძეების ამხ. „ლილო“ ამ დღეებში მიწად მოქმედების უფროს სპეციალისტმა და ქართ. ს. ს. სამეურნეო საზ. კოოპერატივის ინსტრუქტორთან ერთათ დაათვალიერეს დიდი ლილოს მერძეობის ამხანაგობა ტფ. მაზრაში. ამხანაგობა სანუგეშო მდგომარეობაში დახვდათ გასულ ნახევარ წლის განმავლობაში ამხანაგობის წევრთ გაყიდულ რძიდან შემოსავლიათ შვიდას თუმნამდე.

სვანეთი.

სვანეთიდან მოდის დეპუტაცია ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებასთან, შემწეობის სათხოვნელად. აქ ხალხი უკიდურეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი და საჭიროა აუკილებლად დახმარება.

—

შეცდომის გასწორება

გუშინდელ ნომერში „ტყის საკითხში“ გამოტოვებულია რამოდენიმე სტრიქონი, რაიცა აზრს ამახინჯებს. წერილის მეორე სვეტში უნდა იყოს: „საფრანგეთის ტერიტორია 525 ათას კვ. კილომეტრს უდრის: აქედან 100 ათასი კვ. კილომეტრი ე. ი. თითქმის ერთი მეხუთედი ტყეს უჭირავს. გერმანიის ტერიტორია 540 ათსს კილომეტრს უდრის: ამათში 140 ათასი კვ. კილომეტრი ე. ი. თითქმის ერთი მეოთხედი ტყითაა დაფარული.“

მოლაშქრეთა გაწვევის გამო.

მოლაშქრეთა გაწვევის გამო კავკასიის უმაღლეს მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს რათა ახლა ხან გამოცხადებული გაწვევა პირველი და მეორე ხარისხის მოლაშქრეთა გადიდოა პირველ ღვინობისთვემდის.

გაზეთების თანაშრომელთა შესახებ მსჯელობა ჰქონდა თბილისში არსებულ განსაკუთრებულ კომიტეტს, რომელიც განაგებს გაწვეულთა შეღავათს; კომიტეტმა სცნო პირველი საჭიროების საქმის მწარმოებელად შემდეგი გაზეთები: „კავკაზი“, „კავკაზ. სლოვო“, „ტ. ლისტოკი“, „ზაკავკ. რეჩი“, „ორიზონი“, „მშაკი“, „თანამედროვე აზრი“, „სახალხო გაზეთი“, და „საქართველო“. შეღავათი მიეცემათ რედაქტორებს, რედაქციის მდივნებს, სხვა და სხვა განყოფილებათა გამგეთ და სტამბაში მოუშავეთ.

მიხაკო ამირეჯიბი და მისი თარი

მიხაკო ამირეჯიბი და თარი; თარი და მიხაკო ამირეჯიბი; ორივენი უერთმანეთოთ წარმოუდგენელნი იყვნენ, როგორც მიხაკო უთაროთ, ისე თარი უმიხაკოთ. როდესაც გაიგონებდით სადმე თარის გულ-წარმტაც სიმთა ჟღერას, უნებურათ თვალწინ წარმოგიდგებოდათ ცოცხალი სურათი მიხაკო ამირეჯიბისა, მისი სახე, მისი თვალწარბი, მისი განუშორებელი ქულაჯა და ქართული წვეტიანი ჩექმები;-ნახამდით მიხაკოს შემთხვევით სასამართლოში, რომელსაც თითქო არავითარი კავშირი არა აქვს თართან, გაოცდებოდით და თქვენდა უნებლიეთ თვალ წინ დაგეხატებოდათ საქართველოში ჩვეულებრივი სურათი —მშვენიერი გრილი საღამო, კაკლებქვეშ მწვანეზედ ქართულად გაშლილი გრძელი სუფრა, გარშემო მოკეცილი ქალი და კაცი, რომელთა სახე მიბრუნებულია ერთი მხრისაკენ, საიდამაც გაისმის მომჯადოებელი ჟღერა თარისა.

მიხაკო ამირეჯიბი და თარი იყვნენ სულიერი განუყრელნი ძმები; სადაც უნდა წასულიყო იგი, უეჭველად თან უნდა წაეღო თავისი განუშორებელი ამხანაგი; იმ ცხენზედ, რომელზედაც იგი იჯდა, წინ უნაგირზედ ეკიდა მისი ტკბილ-ხმოვანი თარიც; ან როგორ უნდა დაეტოვებინა შინა, ეს ხომ იქნებოდა დაღონება თავისი სულისა და განა ეს შესაძლებელია!

აკი ამიტომაც არ უმტყუნა ბოლომდინ თავის პატრონს მისმა მხურვალე მეგობარმა; უკანასკნელი წუთი მათი საერთო ყოფნისა ამ მიწაზედ იყო შემდეგი სურათი: კაკლებ ქვეშ გახსნილი კუბო და მიცვალებულის გულზედ დადებული მისი საყვარელი თარი. თვით სიკვდილმაც, როგორც ქურდმა, მაშინ მოასწრო, როცა იგი მართავდა თავის ტკბილად მოლაპარაკე ამხანაგს.

რასაკვირველია სიკვდილი თავისთავად მეტად გულ-დამწვავი მოვლენაა, მაგრამ თუ კაცს ერთხელაც არის ბოლო უნდა მოეღოს, ამისთანა სიკვდილს რა უნდა სჯობდეს. განა ამისთანა სიკვდილი იგივე უკანასკნელი სიმღერა, უკანასკნელი გალობა არ არის გედისა, რომელიც სიკვდილის მოლოდინში აღფრთოვანებული მიდის უკუნეთში?

მიხაკო ამირეჯიბი ორნაირათ არის ჩვენთვინ საყურადღებო,—როგორც ტიპი, როგორც წარმომადგენელი ძველებური ქართველი ხალხისა და როგორც ხელოვანი, როგორც არტისტი აღბეჭდილი მაღალი ციური ნიჭით.

თუ ნაციონალობა, ეროვნობა, ხალხისნობა ნიშნავს თავისებურ კილოს, თავისებურ ელფერს, თავისებურ მიდრეკულებას და გამომეტყველებას, გარეგნობით თუ შინაგანი ცხოვრებით, მაშინ მიხაკო ამირეჯიბი ნამდვილი მამულისშვილია, უკეთესი წარმომადგენელია თავისი ერისა.

ძველებური ქართული წარმოსადეგობა, ძველებური ჩაცმა დახურვა, რაინდული, უაღრესი პატივისცემა, ქალისა განთქმული ზრდილობა და დარბაისლობა, ზედ დაუმატეთ მოსწრებული სიტყვა-პასუხი, ვაჟკაცობა, სტუმართ-მოყვარეობა და მეგობრის გატანა—აი სურათი ძველი ქართველი კაცისა, რომელიც გვეხატება ჩვენ ძველი გადმონაცემებით და უპირველესად რუსთაველის უკვდავი ქმნილებიდამ.

რასაკვირველია ძველებურ რაინდულ საქართველოშიც ყველა არ იყო ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, ყველა ქალიც არ იყო ნესტან-დარეჯანი და თინათინი; მაგრამ უეჭველად გვერიგნენ ტარიელები, ავთანდილები, ნესტან-დარეჯანები, რომელთათვისაც არ არსებობდა არავითარი დაბრკოლება, რომელთაც ვერავითარი გასაჭირი ქედს ვერ მოახრეგინებდა და ვერ დაამონავებდა; ამისთანები რომ არა ყოფილიყვნენ, მაშინ ხომ არც ძველი საქართველო იქნებოდა. კიდეც ეს ტარიელები, ავთანდილები, ნესტან-დარეჯანები და თინათინები ღებავენ ხალხის ცხოვრებას თავისებური ელფერით, კიდეც ესენი აძლევენ ლაზათს მთელს ერს, მხოლოდ ესენი ჰქმნიან და სჭედავენ იმ განსაკუთრებულ ყოფა-ცხოვრებას, რომელსაც ეძახიან—ერი, ნაცია.

რა თქმა უნდა, თანამედროვე ქართველი კაცი ის აღარ არის, რაც იყო რუსთაველის დროს, ჩვენი ხალხი ჟამთა მსვლელობით და მრავალ უბედურობათა წყალობით დაკნინდა, დაბეჩავდა, დაწვრილმანდა, მაინც ამისდა მიუხედავათ ასე თუ ისე მკრთალად მაინც მიხაკო ამირეჯიბი და მისნი მსგავსნი წარმოგვიდგენენ სურათს ძველი ქართველი ხალხისას—სახით, ჩაცმულობით, თუ ზნე-ჩვეულობით. თქმა არ უნდა, რომ როგორც ძველ საქართველოში, მით უფრო ეხლანდელ ცხოვრებაში იყო და არის ბევრი მავნე ზნე და ჩვეულება, რომელნიც რაც მალე დაივიწყებიან და გადავარდებიან ისა სჯობია; მაგრამ იყო ძველ დროში კარგი მხარეებიც, რომელთა დაკარგვა ან დავიწყება მოასწავებს ხალხის სულიერ გატიტვლებას, გაშიშვლებას. ერთი ამ მხარეთაგანი ჩვენი წარსული ცხოვრებისა იყო დიდი საზოგადოებრივი გრძნობა, რომლითაც იყო განმსჭვალული ჩვენი ერი მიუხედავათ წოდებისა. ჩვენი ხალხი არ იყო კარ-ჩაკეტილი და გულ-ჩათხრობილი; წინათ დიდი მისვლა-მოსვლა იცოდნენ ერთმანეთში; ჯვარობებში, დღეობებში და დღესასწაულებში ერთი მხრის, ზოგჯერ ძალიან შორეულის ხალხი მეორესა ხვდებოდა. ქართველ კაცს უყვარდა სხვაგან წასვლა და სტუმარის მიღებაც იცოდა. ამ მისვლა-მოსვლას ფრიად დიდი გავლენა ჰქონდა ხალხის სულიერ განწყობილებაზედ; იგი ჰბადავდა საერთო აზრს, საზოგადო გრძნობას. რაკი ყველა მხრიდან იკრიბებოდა დიდძალი ხალხი, ამოდენა კრებულობასაც შესაფერისი დროს გატარებაც ჰქონდა. ჭიდაობა, ცეკვა, თამაშობა, გალობა, დაკვრა—ყველაგვარი დროს გატარება იყო აქა; აქ ყოველ დარგს კაცის სულიერი მოთხოვნილებისას ჰქონდა ასპარეზიც, გასავალიც და ვარჯიშობაც. ამ ნაირად მეჯლისები იყვნენ ხალხის სულის შემნახველნი და გადმომცემნი. ტოლუმბაშის მოვალეობას შეადგენდა არა მარტო ყანწების დაცლა და ღვინის დაძალება არამედ უფრო შესაფერი მოსწრებული სიტყვების წარმოთქმა; იგი თავდაპირველათ მჭერმტყველი უნდა ყოფილიყო; მსმენელნიც ფხიზლათ იყვნენ; ტოლუმბაშის მახვილი სიტყვა გამოიწვევდა მეორე, მესამე უფრო მახვილ სიტყვას.

გალობა ხომ ქართული სუფრის დამამშვენებელი იყო მუდამ; მგალობელთა გუნდები, შემდგარი სახელდახელოდ მღეროდნენ ერთი მეორეზედ მშვენიერ სიმღერებს, რომელთა მაღალი ხმები წკრიალით გაისმოდა წმინდა ჰაერში.

მგალობლებს არ ჩამოუვარდებოდნენ დამკვრელებიც, რომელნიც თანაც მღეროდნენ. ერთი ამ დამკვრელთაგანი თარზედ იყო ამირეჯიბიც; როცა იგი ჩამოჰკრავდა თითებს სიმებზედ, დამსწრენი სმენათ გადიქცეოდნენ, მოხიბლულნი და გატაცებულნი მაღალი გრძნობით. არა ერთი მსმენელის გული აუტოკავს იმისი თარის ჟღერას, არა ერთი და ორი წმინდა გრძნობა დაუთესია მას მსმენელთა გულში თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში, თუმცა არც დიპლომი მიუღია თავის ხელოვნებისა, არც სასყიდელი მიუღია არავისაგან და არც თავი მოჰქონდა თავისი მაღალი ხელოვნებით; იგი იყო ნამდვილი, სახელოვანი, ბუნებრივი არტისტი.

ვიცით, რომ ჩვენ ხალხს ჰყავდა და ჰყავს ყველა კუთხეში სხვა მიხაკო ამირეჯიბები; მაგრამ ვაი რომ ამისთანა რიცხვი დღითი-დღე კლებულობს; ვაი თუ იმ სამუდამოთ დადუმებულ და დაწყვეტილ სიმთა, რომელნიც დაობლებულნი ჰკიდიან თავის წარსულთა ამა ქვეყნიდან პატრონთა კედლებზედ, თან გაჰყვა სამუდამოთ სული და გული ძველი ქართველი კაცისა.

მ. ნ. ვეზირიშვილი

სომეხთა ცხოვრება

ბაიბურთიდამ ქალაქთა კავშირის რწმუნებულს კავკასიაში—ალექსანდრე ხატისოვს მოსვლია ცნობა რომ ახლახან აღებულ ბაიბურთში (ერთი ქალაქთაგანია ოსმალეთის საქართველოში, ჭოროხის მხარეში) აღმოუჩენიათ სომხის ორი ოჯახი; ბაიბურთის შორიახლო კი უნახავთ ასამდე ქალი, ყველანი ორსული... მამაკაცი მხოლოდ ორი უნახავთ ქალაქში.

ხატისოვმა მიმართა გადმოხვეწილთა მომწყობის გამგეს გენერალ თამამშევს, რათა მან ნება დართოს ამ სომეხთა სხვა ადგილას გადმოსახლებისა.

სომეხთა კათოლიკოსს, აწ თბილისში მყოფს, წარუდგენენ სომხურ ეროვნულ ბიუროს წევრები და მოახსენეს როგორც ბიუროს აგრეთვე სხვა სომხურ ორგანიზაციათა მოქმედება. კათოლიკოსი დაპირებია, მფარველობას და ქონებრივ შემწეობას არ დაგაკლებთო.

რუსეთის ეროვნებათა მწიგნობრობა ომის დროს

ბეჭდვითი საქმის მთავარ უწყებამ გამოაქვეყნა ცნობები შესახებ ბეჭდვითი საქმის ვითარებისა წასულ წელში.

თანახმად ამ ცნობებისა რუსეთში გაცილებით ნაკლები დაიბეჭდა ომის დროს ვინემ წინა წელში.

საგულისხმოა რომ ამ მხრით გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ქართულ ენაზე დაბეჭდილი წიგნები.

მაგალითად რუსულ ენაზედ 1914 წელში დაბეჭდილა 25,521 გამოცემა, 1915-ს კი—22,563.

არა რუსულ ენაზე დაბეჭდილა:

	1914 წ.	1915 წ.
პოლონურად. .	1391	679
ლატიშურად. .	951	270
ესტონურად . .	502	284
ებრაულად . .	967	193
ლიტვურად . .	134	105
უკრაინულად. .	215	83
თათრულად . .	399	325
სომხურად . .	192	159
ქართულად . .	165	247

გირჟის ცნობანი

სახელმწიფო ფონდების ქაღალდები ფასობს: სახელმწიფო რენტა—77, 1915 და 1916 სესხი—$94^7/_8$.

მომგებიანი სესხი: პირველი—681 და მეორე—531.

იპოტეკის ქაღალდები: ბესსარაბიის საადგილ-მამულო ბანკის—$76^3/_4$; დონის—$78^3/_4$; პოლტავის—$78^1/_2$; ხარკოვის—$78^3/_4$; ხერსონის—$77^3/_4$ და თბილისის—$79^1/_4$.

ვალიუტა. უცხოეთის ფული ფასობს: ინგლისის ფუნტი—149 მან., ფრანგული ფრანკი—53 მან., ამერიკის დოლარი—3 მან. 13 კაპ., შვეიცარიის ფრანკი—$59^1/_2$ მან., ჰოლანდიის გულდენი—$130^1/_2$ მან. მან., იაპონიის იენი—161 მანათი.

ნავთი ღირს ბაქოში ფუთი 62 კაპ.

გზა და გზა

მთათა კალთებში.

არც ზღაპარი და არც ლეგენდა. პირიქით, აქ ყოველი ზღაპარი და ლეგენდა რეალობის ხორცშესხმულობას ჰპოვებს. არ გჯერათ? ინახულეთ მთა, ინახულეთ, ნუ გეზარებათ, ფეხი შესდგით პოეზიისა და ღმერთების საფლობელოში. დაივიწყეთ ერთხელ ყოველდღიური ზრუნვა, დაასვენეთ ყური თუნდა ჟურნალ-გაზეთების ფუჭი ღრიანცელისაგან, თქვენ ნახავთ ადგილს სიამისას, ადგილს მოსვენებისას, დავდავიწყებისას. ვინ ასწერს მთათა მშვენიერებას? ვინ მიაგნებს საღებავთა და კალმის ჯადოსნობას, რომ ცოცხალ ლეგენდათა აღწერილობა შესძლოს. აი, ეწვიეთ ამ მწვერვალთა კალთებს. უნებლიედ უნდა დაშორდეთ აწმყოს, ბუნების თასით გამოსცალოთ უცნობ ღვთაების ნექტარი, რომელიც მარადისობას გაზიარებთ. მთვრალს, გაბრუებულს იგი თვალწინ გადაგიშლით სივრცისა და საუკუნეთა ბუმბერაზობის ბროლის რგოლებს, რომელთა ნატეხ სხივებში ფერიათა სანახაობად გადაშლილა მამა-პაპათა მიერ ნაგები ციხე-კოშკები და საღმრთო ლაშქართა ჰაეროვანი აჩრდილები. თვითეულ ფერდობიდან იგინი მოგიწოდებენ გმირთა შორის შენც წილი გედოს. მერე რა ხარ შენ, ნაშთო ამ წარსულის? რა ჰქვიან შენს იდეალს? რით აღემატე წარსულთა სულს? იქნებ შენი კუნთები უფრო მეტად გამოფოლადდა? შესძლებ ამ გმირთა შორის ჩაერიო? მაგრამ რა, ეჰა, აჩრდილი ხარ, აჩრდილი. სული შენი დაქუცმაცებულია, წვრილმანი, რაღაცა უშნო ფერ-უმარილ წასმული, მოშლილ მანქანად გარდაქცეული, თავის-თავის შეუმცნობელი და უფლება აყრილ-დაკნინებული! როგორ კაცუნებად გეჩვენება ამდენი მოპარტიე, ასე ესოქვათ, ჩვენი ქვეყნის ვითომდა მოსარჩლე ინტელიგენცია, ვინც რომ ჰყვირის, ყოველ კუთხეზე გაიძახის ჩვენს ქვეყნის ხსნაზე, მისი სოციალ-პოლიტიკური სტრუქტურის შეცვლაზე, რაიც მხოლოდ კაბინეთში გაფრენილ ოცნებად რჩება და არასოდეს ხორცშესხმულობას ვერა ჰპოვებს. არა, თვალი აარიდეთ კნინების აკვანს და იხილეთ აქ უშურებელი სიჭაბუკე, სილაღე და ძალოვნება ქედმოუდრეკელი მთისა. მრავალმა საუკუნემ სიჭაღარავის ლახტი გაუტყლაშუნა მთას მხარბეჭზე, მაგრამ იგი კვლავ ჭაბუკად დარჩა, ძლიერის ნებით, ყრმის ადუღებული სისხლით და უბრყვილო ფანტაზიით, როდესაც ადამიანი მგოსნობის ჟინის სიმთვრალეს განიცდის. ლომგული, უბრყვილო, აცეცებულის თვალებით, ცელქი ოცნების ანაბარად, თვით მწუხარებაშიაც მომღიმარი, ნათელის სახით, მთა ჩვენი ოლიმპის სიძლიერით შემოსილა, ჰომიროსის სწორ-უპოვარი გმირნი ფრიალოს კალთებს შეჰფარვიან, ვარსკვლავებს გაჰმიჯნურებიან და ათას ცნაურებით მოხიბლულნი ყოველისფერში ღმერთებს ჰხედავენ.

ყოველ საუკუნეს აქვს თავისი რელიგია, ერთად ერთი მთა, დარჩა, რომ ქრისტიანულ დროშის შემოტრიალების შემდგომაც, თითქოს ახალი კულტის ციხე-ბურჯი, ნამდვილად წარმართად დარჩა, ისევ ძველ ღმერთების მოტრფიალედ. დითირამბი მისი წმიდა გიორგისადმი ნამდვილად დითირამბია ცეცხლის ღმერთების, ტიტანების, რომელთაც ვერც ერთი ახალი საუკუნის ახალი ღმერთი ვერ დაათმობინებს, როგორც შეუვარებულს ჭაბუკს აღფრთოვანებულს სიყვარულს. ღმერთი, სული, რელიგია, ეს ჩვენი დაუცხრომელი გონებისა, ძიებისა და სამწუხარო შეცდომათა სამარადისო ობიექტები, ადამიანი, მისი ნება, სინიდისი, თავისუფლება ნებისყოფის და კანონისა, რომელნიც მარადიულ ანტაგონიზმს ეწევიან ურთიერთისადმი, აქ სრულიად მარტივი სახით ჰპოვებენ გამოსავალს წერტილს. მთა ჩვენი ცეცხლმოდებული ილიონია, რომელიც თვითეულს ნაპერწკლის ამოტყორცნაზე ახალ-ახალს ლეგენდებისა და ზღაპრების ქსოვით ყოველს საიდუმლოს ჰხსნის პირსა, რისთვისაც თვით ჭალარა მეცნიერები დღესაც ამაოდ ამსხვრევს თვის ძლიერს ფარშუბსა.

მთა ჩვენი აღდგენილი ელადაა. მან შეჰქმნა თავისი საკუთარი ღმერთები რასაც ცოცხალის თავით ქრისტიანობასაც არ ანებებს. შეჰხედეთ ამ ნწვერვალს, იმ ბორეევს, აქა-იქ ამარნიშნებს, წითლად შეთხუპნულს კლდის ნატეხებს, მჩქეფარე ჩაქუხს თუ წყნარად მოჩუხჩუხე წყაროს,—ყოველგან ღმერთია— წმიდა გიორგი, „ცეცხლის ჯვარი“,—ესა თუ ის ხატი. ლეგენდები წმიდანთა შესახებ, თქმულებანი გმირებზე, სინამდვილე და ზღაპარი, შორეული და აწმყო, წარმართული და ქრისტიანული, ერეკლე და თამარი ერთმანეთშია არეული. მთას ჰყავს აგრეთვე აქილესები, პატროკლები და აიაქსები, აფროდიტე და დიანები, მრავალი ფერია დაჰპატრონებია აქაურ კასტილდის წყაროებს, რძისა და მარგალიტის ჩანჩქრებს, შრიალა ჭალაკებს თუ უღრან ტყეებს. გასტყორცნეთ ისარი იმ მწვერვალზე, მოხვედრილ ადგილს ფეტიშს ჰნახავთ თავის ლეგენდით; მუჭა შეუშვირეთ ამ ანკარას, მოსტაცეთ იმ წყაროს ალმასად ნაწვიმი წინწკლები და ხელში უმალ მარგალიტად აგოგმანებულნი კრიალოსნის მძივებად ჩამოჰმარცვლიან ნარნარ ზღაპრებს.

ვის არ გაუგონია ამირანი? ოჰო, თქმულება იგი მხოლოდ ზღაპარია თქვენთვის თუ არ გინახავთ მთა. და რამდენი ამირანია გასაგები და შესასწავლი? ვინ მოსთვლის, ვინ? აი, თუნდა ლომისა! ვინაა ეს მდევკაცი, ვინ? ჩვენ დღემდე ყაზბეგის უკვდავ მოთხრობებიდან ვიცით, რომ ლომისა ეკლესიაა, სადაც ამართულია, რომელსაც ეთაყვანება მთელი მთა. მართალია, აი, შორიდანვე შეჰნიშნავთ წერტილად, უკედ არწივის ბუდეთ გადმოკიდულს ტაძარს. ფრიალო იგი ამაყად დაჰყურებს როგორც არაგვის ხეობას ისე ქსნისას. შესდექით და იხილეთ ქრისტიანობისა და წარმართულ სიონის მშვენიერება! დაემხეთ მის წინაშე! ილოცეთ და განიკურნებით! თუ დაძაბუნებულხართ, თუ სიცოცხლე მოგბეზრებიათ, აღზდგებით, იგრძნობთ სილაღეს, იგრძნობთ სიახლეს, ძალას, სიცოცხლისადმი ახალს წყურვილს. მაგრამ ვინ იყო ეს ლომისა, ვინ, რომ ამ ჯადოსნურ კვერთხს ატრიალებს? მრავალ ლეგენდათა შორის უთუოდ რომ საყურადღებოა ერთი, რომელსაც ამირანის ტოლობა შეუძლიან. ხორასნის მეფე იპყრობს მთას. მძევლებათ შვიდასი კაცი წაუყვანია. სამ წელს ტყვედ ქმნილნი ჰგოდებენ სამშობლოს დაკარგვას. მაგრამ აი, გამოჩნდება მთაში გმირი ლომკაცი ლომისა, რომელიც ეწვევა თავისი მეგობრებით „შავეთსს“—ანუ ჯოჯოხეთს—ამ ხორასნის სამეფოს, ამოსწყვეტს ყველას, დაიხსნის თვის თანამოძმეებს და რკინის ჯაჭვით წამოიყვანს სამშობლოში. ნიშნად ამ ხსნისა ჯაჭვს იქ დაჰკიდავს, სადაც ტაძარია დღეს.

დ. კასრაძე.

(დასასრული იქნება)

წერილი ქიზიყიდან

ქიზიყი რომ წელსაც დაიმშა, ეხლა ეს აღარავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს. ქიზიკელნი ამ კალოობის დროსვე, რუსეთიდან შემოტანილი ფქვილით იკვებებიან. ეხლავე ყველა მონასყიდია. ისეთ კომლს ვერ მიჩვენებთ, რომ რუსეთიდან შემოტანილ ფქვილის სყიდვას არ საჭიროებდეს. ამ გარემოებას ქიზიყელებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ და საერთო ძალღონით ეცადონ თავის დროზე რუსეთში საკმაო ხორბალი შეიძინონ.

ამ მიზნით საჭიროა ქვემო-ქიზიყის-ბოდბის-ხევის, ქვემო-მაჩხაანის, ჯუგაანის, ტიბაანის და მირზაანის საკრედიტო ამხანაგობათა გამგეობის წევრნი შეთანხმდნენ და ერთად იყიდონ საკმაო ხორბალი. ისინი ამ საქმეს გაუძღვებიან, ამის უნარი შესწევთ. არ უნდა დააყოვნონ, ეხლავე უნდა საქმეს შეუდგნენ, თორემ შიმშილი კარებს აკაკუნებს. სხვაც არა იყოს რა, ხალხი კერძო ჩარჩ.გაიძვერათა კლანჭებში არ უნდა ჩაადგონ. ხომ დაინახეს წელს, როგორ მოითბეს ხელი კერძო ვაჭრებმა ხალხის გაჭირვება-უპატრონობით.

—

ს. ქვემო-მაჩხაანის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობამ გადასწყვიტა ქვემო-მაჩხაანში გახსნას კოოპერატიული დუქანი. წესდება იბეჭდება და მალე წარედგინება სადაც ჯერ-არს დასამტკიცებლად. ასეთივე კოოპერატიული დუქანი სოფელ მირზაანშიაც იხსნება. სოფელ ჯუგაანში ხომ კარგა ხანია ჩინებულად ვაჭრობს ასეთი კოოპერატიული დუქანი ჯუგაანის საკრედიტო ამხანაგობის მიერ დაარსებული. ვუსურვებთ წარმატებას ასეთ დუქნებს, მათ მესვეურთ და გამგეობათ კი მხნეობას და საქმისადმი წრფელს სიყვარულს.

—

როგორც გაზეთის მკითხველს მოეხსენება 6 მკათათვეს სოფელ ქვემო-მაჩხაანში წლიური კრება მოხდა წ.-კ. გ საზ. ქვემო-მაჩხაანის განყოფილებისა.

ამ წლიურ კრებაზე ქვემო-მაჩხაანის ბოქაულის მიხაკო ნასიძის წინადადებით შემდეგი ფრიად სასარგებლო და მისაბაძი გადაწყვეტილება გამოიტანეს: ეთხოვოს ქვემო-მაჩხაანელ მოვაჭრეთ დანიშნონ წელიწადში ერთი დღე და რაც იმ დღეს ივაჭრონ, ნაწილი ნავაჭრისა ქვემო-მაჩხაანის განყოფილებას შესწირონ. კრებაზე დამსწრე მოვაჭრეებმა დიდის სიამოვნებით მიიღეს ეს წინადადება და თავიანთ შორის ამოირჩიეს კაცები, რომელნიც ამ საქმის მოგვარებას შეუდგებიან.

—

ქვემო-ქიზიყიდან ომში გაწვეულ ჯარის-კაცთა ოჯახობას დღიური საკვები ფული დაურიგდათ სოფ. ქვემო-მაჩხაანში. კარგი იქნება ყველა სოფლის მცხოვრებთ ადგილობრივ ურიგდებოდეს ეს საკვები ფული და ორი-სამი დღით ლოდინი და საქმეზე გაცდენა არ უხდებოდეს ისედაც უზომოდ შეწუხებულ და მიწასთან გასწორებულ ხალხს.

—

ამას წინეთ სოფელ ქვემო-მაჩხაანში გამართულ წარმოდგენის წმინდა შემოსავალი ათ თუმნამდეა.

წარმოდგენა ქვემო-მაჩხაანის წ.-კ. გამ. საზ. განყოფილების სასარგებლოდ იყო გამართული.

ადგილობრივი სცენის მოყვარენი ამ ზაფხულს კიდევ ორ-სამ წარმოდგენას აპირობენ იმავე მიზნით.

ვუსურვებთ მეტ მხნეობას.

X.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო სოფ. ბაკურციხეში საბოვშვო წარმოდგენის გამართვისათვის ქ-ნ მარიამ მახარობლიძისას, რომელმაც შემოსავალი 6 მ. და 20 კაპ. გადმომცა მე. ამ ფულით აქაურ სკოლის მოწაფეებს გამოეწერება ჟურნალი „ნაკადული“ და კალმები.

ბაკურციხის სამრევლო სკოლის მასწავლებელი **ეკატერინე მაჭავარიანი.**

ჩვენი ფოსტა

მუშა ვახილ გაფრინდაშვილს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03 დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33 საღ.
ბორჯომის	სამგზ.	№ 17,	8.27 დილ.
„	სამგზ.	№ 19,	3.19 დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13 დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54 დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28 საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13 საღ.
თელავისაკენ	№ 4,	7 „	58 „ დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52 დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38 საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43 დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12 საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08 დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12 საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48 საღ.
თელავიდან	№ 3,	7 „	58 „ საღ.

თუ გსურთ,

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის ყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

მიმართეთ

— ცნობის ბიურო —

ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფულ და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

ფეფის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ

საკუთარი ტყიდან

ხაწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მ[illegible]ნასაც

(103—წ.) ტელეფონი № 96.

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:

ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვეთ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე**

ლაღიძის

და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო წყალი** და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის** წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქათრთულად თავმოთოთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში 18 თვით პრომკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მოხზადებული სრულიად **უვნებელის** მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და **საუკეთესო** ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

თეატრის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაიდოვის-ეფენ“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, **შავი „ეფეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი **კონსერვები** და **სარდინკები** **რუსეთის** და **საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.**

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

✦ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ✦

კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.

——— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ———

(185—წ.)

ვაგზლის სამკურნალოები

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)

სამკურნალოს ყველა ექიმეგმა
კვლავ განაახლეს ავადმყოფეგის მიღება ყოველ
დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

[illegible] „[illegible]“ [illegible]

სტამბა „[illegible]“ [illegible], [illegible] № 4.